



სასამართლოს მეგობრის

(Amicus Curiae)

მოსაზრება

N3/2533-25 საქმეზე

(მოსარჩელები: ა(ა)იპ სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED); მ. პ. გ. "მლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!"; მოპასუხე: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია)

07 აპრილი, 2025

## ინფორმაცია სასამართლოს მეგობრის მოსაზრების წარმდგენი ორგანიზაციის შესახებ

ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც 1994 წელს დაარსდა, იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს საზოგადოებაში სამართლებრივი ინფორმირების გაზრდას და კანონის უზენაესობის დამკვიდრებას, სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს საკანონმდებლო ბაზის განვითარებას, ადამიანის ღირსების, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, იურიდიული პროფესიის განვითარებას, პროფესიული ეთიკის ნორმების დამკვიდრებას. აღნიშნული მიდგომებით საიამ წლების განმავლობაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. საიას უწარმოებია არაერთი დავა როგორც საერთო, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოში. ამასთან, საიას აქვს მრავალწლიანი წარმატებული მუშაობის გამოცდილება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. აღნიშნულის გარდა ორგანიზაციას არაერთი სასამართლოს მეგობრის მოსაზრება აქვს წარდგენილი როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სასამართლოებში.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შესახებ დეტალური ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ ორგანიზაციის ვებგვერდზე: <https://gyla.ge>.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია („საია“) წარადგენს სასამართლო მეგობრის პოზიციას ა(ა)იპ სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED); მ. პ. გ. „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“ სარჩელზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის (შემდგომში – „ცესკოს“) წინააღმდეგ ცესკოს 2025 წლის 3 აპრილის N22/2025 დადგენილების ბათილად ცნობის თაობაზე „კენჭისყრის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2023 წლის 6 თებერვლის №7/2023 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სადავო დადგენილების 1-ელი მუხლის მიხედვით, 2023 წლის 6 თებერვლის №7/2023 დადგენილების მე-6 მუხლს დაემატოს 6 პრიმა პუნქტი, რომელიც განისაზღვრა, რომ კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ნებისმიერ პირს ეკრძალება (ა) კენჭისყრის ოთახში ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება; (ბ) ამომრჩევლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ჩვენების მოთხოვნა, მათ შორის, გამორთმევა; და (გ) ამომრჩევლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატზე გამოტანილი ამომრჩევლის მონაცემების, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდილი ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრისა და ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენზე გაკეთებული არჩევანის ფოტოვიდეოგადაღება ან სხვაგვარი დამუშავება.

არჩევნებზე დაკვირვება დემოკრატიის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.<sup>2</sup> სამოქალაქო საზოგადოების მიერ საარჩევნო პროცესის მონიტორინგი არის არჩევნების კეთილსინდისიერების შემოწმების ერთ-ერთი მთავარი მექანიზმი.<sup>3</sup> საერთაშორისო განმარტებით, არჩევნებზე დაკვირვება მოიცავს „საარჩევნო პროცესის შესახებ ინფორმაციის მიზანმიმართულ შეგროვებას და ამ პროცესის წარმართვის შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას იმ პირების მიერ, რომლებიც არ არიან არსებითად უფლებამოსილი ჩაერიონ საარჩევნო პროცესში“.<sup>4</sup>

დამკვირვებლები არიან მიუკერძოებელი მეთვალყურეები, რომლებიც შეისწავლიან და აფასებენ საარჩევნო პროცესის შესაბამისობას დემოკრატიულ პრინციპებთან.<sup>5</sup> ისინი აგროვებენ მონაცემებს, აანალიზებენ მას, აფასებენ არჩევნების ხარისხს და აქვეყნებენ თავიანთ დასკვნებს.<sup>6</sup> შესაბამისად, თავისუფალი

<sup>2</sup> Election Observation, The Electoral Knowledge Network, Ace Project, available at: <https://aceproject.org/ace-en/topics/eo/eol/conditions-for-international-observation>, accessed: 07.04.2025.

<sup>3</sup> National Election Observation, Election Integrity, The Electoral Knowledge Network, Ace Project, available at: [https://aceproject.org/main/english/ei/eix\\_1012.htm](https://aceproject.org/main/english/ei/eix_1012.htm), accessed: 07.04.2025.

<sup>4</sup> Code of Conduct: Ethical and Professional Observation of Elections, International Institute for Democracy and Electoral Assistance (IDEA), 1997, P. 10.

<sup>5</sup> Election Observation, The Electoral Knowledge Network, Ace Project, available at: <https://aceproject.org/ace-en/topics/eo/eol/conditions-for-international-observation>, accessed: 07.04.2025.

<sup>6</sup> National Election Observation, Election Integrity, The Electoral Knowledge Network, Ace Project, available at: [https://aceproject.org/main/english/ei/eix\\_1012.htm](https://aceproject.org/main/english/ei/eix_1012.htm), accessed: 07.04.2025.

და სამართლიანი არჩევნებისათვის უმნიშვნელოვანესია დამკვირვებლების საქმიანობის თავისუფლების უზრუნველყოფა. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ადგილობრივი დამკვირვებლების საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს ისეთ პრინციპებს, როგორცაა საარჩევნო პროცესებზე შეუფერხებელი წვდომა, საარჩევნო საჩივრების ხელმისაწვდომობა, თავისუფალი და დამოუკიდებელი ანგარიშებისა და რეკომენდაციების გამოქვეყნების შესაძლებლობა.<sup>7</sup>

არჩევნებზე დაკვირვების უმთავრესი მიზანია, მათ შორის, საარჩევნო კანონმდებლობის დაცვით კენჭისყრის პროცესის ორგანიზების ხელშეწყობა, შეუსაბამობებისა და კენჭისყრის პროცესის დარღვევების, მათ შორის, საარჩევნო კომისიის წევრების გადაცდომებისა თუ უბანზე მყოფი სხვა პირების არაკეთილსინდისიერი ქმედებების აღმოჩენისა და მათზე დროული რეაგირების გზით. ამისათვის აუცილებელია, დამკვირვებელს ჰქონდეს უბანზე კენჭისყრის ყველა პროცედურაზე შეუფერხებელი წვდომა.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 41-ე მუხლი განსაზღვრავს დამკვირვებლის უფლებებს, ასევე, შეზღუდვებს/აკრძალვებს. ხოლო ცესკოს მიერ მიღებული ნებისმიერი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კოდექსს და არ უნდა აუარესებდეს პირთა, მათ შორის დამკვირვებელთა უფლებებს, რაც სადავო დადგენილებაში აშკარად პრობლემურია.

იმისათვის, რომ დამკვირვებელმა თავისი უფლებამოსილებები ჯეროვნად შეასრულოს, აუცილებელია, იგი დაუბრკოლებლად გადაადგილდებოდეს საარჩევნო უბნის მთელ ტერიტორიაზე და მისთვის ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერ საარჩევნო პროცესზე (მათ შორის, უბანზე დაშვებაზე, ვერიფიკაციისა თუ ბიულეტენის საარჩევნო ყუთში მოთავსებაზე) შეუფერხებელი დაკვირვება, რის შესაძლებლობასაც საქართველოს საარჩევნო კოდექსის 41-ე მუხლის 1-ელი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტი განამტკიცებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ დამკვირვებელს დაუბრკოლებლად გადაადგილებისა და დაკვირვების განხორციელების ფაქტობრივი შესაძლებლობა არ ექნება, მისი უბანზე ყოფნა მხოლოდ ფასადური და ფორმალური გახდება.

საიას შეფასებით, სადავო დადგენილება სწორედ დამკვირვებლის საქმიანობის ხელშეშლის ინსტრუმენტალიზების შესაძლებლობას იძლევა, რაც არსებითად გაართულებს დამოუკიდებელი სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენელი დამკვირვებლების საქმიანობას, ხელს შეუშლის აღმოჩენილი დარღვევების დოკუმენტირებას, მაშასადამე, იმთავითვე განჭვრეტადად განწირულს ხდის სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი საჩივრებს. კერძოდ:

(ა) სადავო დადგენილების 1-ელი მუხლის “ა” ქვეპუნქტის მიხედვით, შენობაში ყოფნის უფლების მქონე ნებისმიერ პირს, მათ შორის, არჩევნების დამკვირვებლებს

---

<sup>7</sup> Election Observation, The Electoral Knowledge Network, Ace Project, available at: <https://aceproject.org/ace-en/topics/eo/eo1/conditions-for-international-observation>, accessed: 07.04.2025.

ეკრძალვით კენჭისყრის ოთახში ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.

ამ რეგულაციის ფორმალური მიზანი შეიძლება მართლაც იყოს ამომრჩევლის თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა და საარჩევნო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობის ხელშეწყობა, რაც დემოკრატიული არჩევნების ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს. თუმცა რეალურად, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს რეგულაცია საარჩევნო ადმინისტრაციამ გამოიყენოს დამკვირვებელთა საქმიანობის შეზღუდვისთვის.

ტერმინი „ფიზიკური შეფერხება“ იმდენად ფართოა, რომ არაკეთილსინდისიერი განმარტების პირობებში მისი გამოყენება შესაძლებელია თითქმის ნებისმიერ სიტუაციაში, მათ შორის, როცა დამკვირვებელი იმყოფება ისეთ ადგილას, რომელიც კომისიის ან სხვა სუბიექტის მხრიდან „შეფერხებად“ მიიჩნევა, მიუხედავად იმისა, რომ იგი კენჭისყრის პროცესში არ ერევა და არ უშლის ხელს. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დამკვირვებელმა შესაძლოა, დაკვირვების მიზნებიდან გამომდინარე, დროებით შეაფერხოს ამომრჩევლის გადაადგილება ისე, რომ ამით არ ზღუდავდეს მის კანონიერ უფლებებს და არ არღვევდეს კენჭისყრის პროცედურას, რაც დამკვირვებლის კეთილსინდისიერი საქმიანობის შემადგენელი ელემენტია. საუბარია ისეთ შემთხვევებზე, როდესაც დამკვირვებელი აღმოაჩენს გარკვეულ გადაცდომას ან საარჩევნო კანონდარღვევას და ამაზე შესაბამის რეაგირებასაც მოახდენს.

არსებული ფორმით შემოთავაზებული ფორმულირება ქმნის რეალურ რისკს, რომ დამკვირვებელთა მხრიდან დარღვევის დაფიქსირების, ან მასზე რეაგირების მცდელობა კომისიის წევრების მხრიდან ჩაითვლება არალეგიტიმურად.

საიას შეფასებით, სადავო დადგენილების ჩანაწერი საჭიროებს დამატებით დაზუსტებას ან განმარტებას, რათა ცხადად განისაზღვროს, რა წარმოადგენს რეალურ „შეფერხებას“, და რა — დაკვირვების კანონიერ კომპონენტს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს საფრთხე, რომ ეს ნორმა გამოიყენონ დამკვირვებელთა ლეგიტიმური საქმიანობის დაბლოკვის მექანიზმად. **დაკვირვების მანდატი უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ ფორმალურ პროცესებზე ზედაპირულ თვალყურის დევნებას, არამედ ეფექტურ, შინაარსობრივ მონიტორინგს, რომელიც ითვალისწინებს სათანადო მონაცემების დროულ და ეფექტურ გადამოწმებას.**

აღსანიშნავია, რომ საიას სადამკვირვებლო მისიის გამოცდილებით, რიგ უბნებზე მართლაც იდგა ამომრჩეველთა გადაადგილების შეფერხების პრობლემა, რაც გამოწვეული იყო, არა თავისთავად უბანზე მყოფი პირების სიმრავლით, არამედ უბნის შეზღუდული ფართობითა და საარჩევნო ინვენტარის არახელსაყრელი განლაგებით. ამდენად, ამ შემთხვევაში, როდესაც პრობლემური არა კენჭისყრის შენობაში მყოფი პირების რაოდენობა, არამედ საარჩევნო უბნის არასწორი მოწყობა ან/და ფართის სიმცირეა, ამ საფუძვლით დამკვირვებლების თავისუფალი დაკვირვების შეზღუდვა გაუმართლებელია, რამდენადაც საარჩევნო უბნის

მოწყობა ცესკოს პირდაპირი ვალდებულებაა. შესაბამისად, მსგავსი ცვლილების საჭიროება ბუნდოვანია.

გარდა ამისა, წარმოდგენილი ცვლილებებით, შესაძლოა, საარჩევნო კომისიამ დამკვირვებლებს განზრახ, არაკეთილსინდისიერად შეუზღუდოს დაკვირვების უფლება და არ მისცეს ყველა საარჩევნო პროცესზე სრული და შეუფერხებელი წვდომა. საიას გამოცდილებით, რიგ შემთხვევაში, როდესაც საიას დამკვირვებელი რეაგირებდა კომისიის წევრთა მიერ დარღვევებზე, კომისიის წევრები, უპირველეს ყოვლისა კი თავმჯდომარე, განზრახ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უზღუდვავდა დამკვირვებელს გადაადგილების უფლებას და მიუთითებდა ერთ კონკრეტულ ადგილზე, საიდანაც მას შეეძლო დაკვირვება, ხოლო სხვა შემთხვევებში დამკვირვებლის მიერ დარღვევაზე რეაგირების საპასუხოდ მის მიმართ უზნიდან გაძევების მექანიზმის გამოყენება მოხდა. ცესკოს მიერ მიღებული ცვლილებებით კი ფაქტობრივად ამ უმართლობის დაკანონება მოხდა და სავარაუდოა, რომ იგი ობიექტური და მიუკერძოებელი დამკვირვებლის წინააღმდეგ კომისიის ერთ-ერთ ინსტრუმენტად იქცეს.

(ბ) მოსარჩელის მიერ გასაჩივრებული ცვლილების შემდეგი ნაწილი შენობაში ყოფნის უფლების მქონე ნებისმიერ პირს, მათ შორის, დამკვირვებლებს, უკრძალავს ამომრჩევლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ჩვენების მოთხოვნას, მათ შორის, გამორთმევას. აღნიშნული ნორმა გულისხმობს დამკვირვებლის მიერ ამომრჩევლის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტის მხოლოდ დათვალიერებას ხელში დაჭერით ან მის გარეშე. აღსანიშნავია, რომ ეს ნორმა არ გულისხმობს ამომრჩევლის პერსონალური მონაცემების რაიმე სახით დამუშავებას (მაგ. ფოტოვიდეო გადაღებას, ჩაწერას, მონიშვნას, გადაცემას, ასლის გაკეთებას და ა.შ.).

საია, როგორც სადამკვირვებლო ორგანიზაცია, წლების განმავლობაში მიუთითებს, რომ კენჭისყრის პროცესში ადგილი აქვს არაერთ შეცდომას და კანონდარღვევასა.<sup>8</sup>

---

<sup>8</sup> მაგალითისთვის, იხილეთ ბოლო, 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებზე საიას მიერ კენჭისყრის დღეს აღმოჩენილ დარღვევებზე გამომხატვრებები: (1) საიას სადამკვირვებლო მისიის მიერ გამოვლენილი დარღვევები 11 საათის მონაცემებით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.gyla.ge/post/ganxadeba-11-saatze>, განახლებულია: 7.04.2025; (2) საიას სადამკვირვებლო მისიის მიერ გამოვლენილი დარღვევები 15 საათის მონაცემებით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.gyla.ge/post/ganxadeba-15saatis-monacemebit>, განახლებულია: 7.04.2025; (3) საიას სადამკვირვებლო მისიის მიერ გამოვლენილი დარღვევები 21 საათის მონაცემებით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.gyla.ge/post/gyla-ganxadeba-21saati>, განახლებულია: 7.04.2025; (4) 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების კენჭისყრის დღის შეფასება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.gyla.ge/post/ganxadeba-27octoberi-11saati>, განახლებულია: 7.04.2025; (5) საიას გამომხატვრება ჟურნალისტებისთვის ხელის შეშლის ფაქტების შესახებ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.gyla.ge/post/jurnalistebi-ganxadeba>, განახლებულია: 7.04.2025; (6) საია ეხმინება დამკვირვებლებისთვის ხელის შეშლის, ფიზიკური ძალადობისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი,



დამკვირვებელთა საქმიანობის შედეგად აღმოჩენილ დარღვევებზე სწრაფი რეაგირების შესაძლებლობა, ხშირ შემთხვევაში, წარმოადგენს არაკეთილსინდისიერი პირის მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის განზრახვის სისრულეში მოყვანის დამაბრკოლებელ გარემოებას. მაგალითისთვის, არაუფლებამოსილი პირის მიერ ხმის მიცემის ან სხვაგვარი საარჩევნო მანიპულაციის პრევენციის შესაძლებლობას, საექვო შემთხვევებში, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის პროცესის გაკონტროლება/დაკვირვება, მათ შორის, მისი მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის დათვალიერება წარმოადგენს. შესაბამისად, დამკვირვებლების შესაძლებლობა, მოსთხოვონ ამომრჩეველს მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის ჩვენება ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, აზღვევს კენჭისყრის პროცესში წამოჭრილ რეალურ საფრთხეებს და მხოლოდ ეხმარება საარჩევნო ადმინისტრაციას პროცესის კეთილსინდისიერ ადმინისტრირებაში.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ დამკვირვებელს არ აქვს იურიდიული ბერკეტი აიძულოს ამომრჩეველი, გადასცეს მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტი. ამასთან პრაქტიკაში არსებობს ისეთი შემთხვევები (მაგ. მრავალჯერადად ან არასათანადო დოკუმენტით ხმის მიცემა და ა.შ.), სადაც დოკუმენტზე უბრალოდ შეხედვა ან მისი ფორმალური დათვალიერება შეიძლება კრიტიკულად მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს დარღვევის დროული იდენტიფიცირებისთვის. მიუხედავად ამისა, ნორმის ბლანკეტურობიდან გამომდინარე, რეგულაცია აბსოლუტურად უკრძალავს დამკვირვებელს დოკუმენტთან ნებისმიერ კონტაქტს.

პრაქტიკულად, მინიმუმამდეა დაყვანილი დამკვირვებლის მიერ ამომრჩეველის პირადი მონაცემების არაკეთილსინდისიერი დამუშავების რისკი, რადგან ნორმა თავისთავად მხოლოდ ჩვენებას მოიცავს და არა ამ ინფორმაციის რაიმე სახით გავრცელებას ან შენახვას. შესაბამისად, ნორმაც ემსახურება მხოლოდ მომენტალური ექვებისა და საფრთხეების გაუნებელყოფას დამკვირვებლის მიმართ და მას არ გააჩნია სამომავლო ეფექტი. პირიქით, დამკვირვებლები ახდენენ ამომრჩეველთა მონაცემების სისწორის შემოწმებას და თავიდან ირიდებენ არაუფლებამოსილი პირების მიერ ხმის მიცემის შემთხვევებს, განმეორებით ხმის მიცემას ან სხვა სახის საარჩევნო მანიპულაციებს, რამაც, შესაძლოა, ამომრჩეველთა ნებასა თუ არჩევნების შედეგებზე ნეგატიური გავლენა იქონიოს.

ამდენად, განხორციელებული ცვლილების ბუნდოვანება საფრთხეს უქმნის, ერთი მხრივ, დამკვირვებელთა თავისუფალი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას და, მეორე მხრივ, ნეგატიურად აისახება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების პრინციპზე.

(გ) სადავო დადგენილების შემდეგი ნაწილი ეხება საარჩევნო დოკუმენტაციის (ამომრჩეველის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, ვერიფიკაციის აპარატზე გამოტანილი მონაცემების, ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდილი

---

ხელმისაწვდომია: <https://www.gvla.ge/post/saia-ekhmianebe-damkivirveblebistvis-khelis-sheshlis-fatqbes>, განახლებულია: 7.04.2025.

ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრისა და საარჩევნო ბიულეტენზე გაკეთებული არჩევანის) ფოტოვიდეო გადაღებას ან მის სხვაგვარ დამუშავებას.

აღსანიშნავია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საინფორმაციო ბიულეტენის მიხედვით,<sup>9</sup> სადამკვირვებლო ორგანიზაციებს უფლება აქვთ დაამუშავონ პერსონალური ინფორმაცია საარჩევნო პროცესზე დაკვირვების მიზნით. სადამკვირვებლო ორგანიზაციებს უფლება აქვთ გადაამოწმონ საარჩევნო კომისიების დოკუმენტები, სადაც პერსონალური მონაცემებიც არის თავმოყრილი. საარჩევნო პროცესის ფართე კონცეფცია მოიაზრებს კენჭისყრის პროცესს, რომლის ჩატარების წესები საარჩევნო კოდექსის 65-ე მუხლით, ასევე, „კენჭისყრის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2023 წლის 6 თებერვლის №7/2023 დადგენილებით განსაზღვრული წესების ზედმიწევნით დაცვით ტარდება. მასზე დაკვირვება კი შინაარსობრივად ცდება მხოლოდ არჩევნების დღის ფორმალურ, ზედაპირულ დაკვირვებას, არამედ იგი მოიცავს კენჭისყრის დღის ანალიზს, დარღვევათა აღრიცხვას, მათი მტკიცებულებების შეგროვებას, საარჩევნო დავის წარმოებას და სხვ. ამისათვის კი პერსონალურ მონაცემებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამასთანავე, **პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოთხოვნა არ ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დამუშავების აკრძალვას, არამედ გულისხმობს ასეთი მონაცემების ლეგიტიმურ დამუშავებას, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.**

წარმოდგენილი ცვლილება კი ერთიანად ყოველგვარი კანონიერი დიფერენციაციის გარეშე უკრძალავს ნებისმიერ პირს საარჩევნო დოკუმენტაციის გარკვეული სახით დამუშავებას. მართალია, საია წლებია მიუთითებს არჩევნებში ჩართული არაკეთილსინდისიერი და მიკერძოებული მხარეების მიერ ამომრჩეველთა პირადი მონაცემების არაკანონიერად დამუშავების შემთხვევებზე, კერძოდ ფოტოს გადაღება, ამომრჩეველთა აღრიცხვა, მონაცემების ჩაწერა და ა.შ., თუმცა არაპროპორციულად მძიმეა სადავო დადგენილებით გათვალისწინებული შეზღუდვა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სადამკვირვებლო ორგანიზაციებისთვის, რომელიც ერთიან სტანდარტს უწესებს ობიექტურ ორგანიზაციებსა და შედეგით დაინტერესებულ პირებს. ნაკლებ სავარაუდოა, რომ ეს ცვლილება შედეგის მომტანი იქნება მონაცემთა კანონისმიერი მიზნის საწინააღმდეგოდ დამუშავებასთან ბრძოლის ნაწილში, რამდენადაც საარჩევნო კოდექსი ისედაც განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების დამუშავების წესს და აწესებს გარკვეულ აკრძალვებს.<sup>10</sup> უფრო მეტიც, ის ხელს შეუწყობს ობიექტური დამკვირვებლის საქმიანობაში ხელშეშლას და გაუმართლებლად შეზღუდავს მათ უფლებებს. ამრიგად, ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვის ნაცვლად, რეგულაცია არაპროპორციულად ზღუდავს დამკვირვებელთა წვდომას საარჩევნო დოკუმენტაციაზე - რესურსზე, რომელიც აუცილებელია როგორც არჩევნებზე

<sup>9</sup> ამომრჩევლის უფლებები და საარჩევნო პროცესში პერსონალური მონაცემების დაცვის ცალკეული ასპექტები, საინფორმაციო ბიულეტენი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, 2024.

<sup>10</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-8 მუხლის 25-ე პუნქტი.



დაკვირვების სრულფასოვანი ანალიზისთვის, ასევე საარჩევნო დავების წარმოების, ანგარიშების მომზადებისა და საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების პროცესში.

განსაკუთრებით საინტერესოა ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენზე გაკეთებული არჩევანის ფოტოვიდეო გადაღების აკრძალვა. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კოდექსი ისედაც ითვალისწინებს ფოტოვიდეო გადაღების აკრძალვას საარჩევნო კაბინაში, არჩევნების ფარულობის დაცვის მიზნით.<sup>11</sup> სადავო ცვლილებებით, შევსებული ბიულეტენის ფოტოვიდეო გადაღება და დამუშავება აკრძალა არა მხოლოდ კაბინაში, არამედ საარჩევნო უბნის მთელ ტერიტორიაზე. დადგენილებით განსაზღვრული რეგულაცია არსებითად ეწინააღმდეგება იერარქიულად უფრო მაღლა მდგომ ორგანულ კანონს - საქართველოს საარჩევნო კოდექსს.<sup>12</sup>

გარდა ამისა, აღნიშნული საკითხი პრობლემურია დამკვირვებელთა საქმიანობის ხელშეშლის კონტექსტში. დადგენილებით განხორციელებული ცვლილება დამკვირვებელს უსპობს შესაძლებლობას, მოახდინოს კენჭისყრის პროცესში აღმოჩენილი დარღვევების დოკუმენტირება. ცვლილება, თავისი არსით წინააღმდეგობაში მოდის საარჩევნო კოდექსის დანაწესთანაც. კერძოდ, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 77-ე მუხლის 28-ე პუნქტის მიხედვით, საჩივრის განხილვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების [...] სათანადო გამოკვლევისა და შესწავლის შემდეგ. აღნიშნული ნორმისა და დადგენილებით განსაზღვრული ცვლილების ურთიერთშეჯერების გზით განმარტების საფუძველზე დგინდება, რომ დამკვირვებელი ვერ შეძლებს მტკიცებულებების მოგროვებას, რაც წარდგენილი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია - ფაქტობრივად კი გამოდის, რომ სადამკვირვებლო ორგანიზაციის მიერ წარდგენილ საჩივარზე დამდგარი შედეგი განჭვრეტადად განწირულია დაუკმაყოფილებლობისთვის.

წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარე, ცესკოს მიერ მიღებული ცვლილებები დადგენილებაში, პირველ რიგში, წინააღმდეგობაში მოდის საარჩევნო კოდექსთან, რომელიც იერარქიულად უფრო მაღლა მდგომი სამართლებრივი აქტია. ამის გარდა, ის არაპროპორციულად და გაუმართლებლად ზღუდავს დამკვირვებლის საქმიანობას. კერძოდ, მას ეკრძალება თავისუფლად გადაადგილება უბანზე, რაც ხელს უშლის სრულყოფილ დაკვირვებას. წარმოდგენილი ცვლილებების ფონზე, დამკვირვებლები ვეღარ შეასრულებენ მათ უპირველეს მოვალეობას - ვერ დააიდენტიფიცირებენ პოტენციურ დარღვევებს და ვერ მოიპოვებენ მტკიცებულებებს.

საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი არაკეთილსინდისიერი საარჩევნო ადმინისტრაციის პირობებში ობიექტური და მიუკერძოებელი სადამკვირვებლო

<sup>11</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის 58-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

<sup>12</sup> ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტი.

ორგანიზაციების წინააღმდეგ იქნება გამოყენებული, რაც სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს ეწინააღმდეგება.